

„ვამტკიცებ“

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

ა.(ა).ი.პ. სპორტული გაერთიანების

დირექტორი:  მ. კურდღელაშვილი/



„შეთანხმებულია“

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის

პრეზიდენტი:  გ. ათაბეგაშვილი/



## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის როინ ყორღანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში, 2011 – 2012 წლებში დაბადებულ უმცროს ჯაბუკთა შორის

შეჯიბრების ჩატარების მიზანი და ამოცანები

1. ძიუდოს პოპულარიზაცია და განვითარება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.
2. პერსპექტიული-ნიჭიერი ძიუდოისტების გამოვლინება.
3. სპორტსმენთა შორის მეგობრული ურთიერთობის გაღრმავება.

შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

1. შეჯიბრება ჩატარდება 2024 წლის 29 - 30 მაისი ქ. საგარეჯოს ა.(ა).ი.პ. სპორტული გაერთიანების ძიუდოს დარბაზში. ძიუდოს საერთაშორისო მოქმედი წესების დაცვით (მისამართი : ქ. საგარეჯო დავით აღმაშენებლის ქ. N 37).
2. ჩამოსვლის დღე 2024 წლის 28 მაისი. შეჯიბრის დაწყების დრო 11:00 სთ.

წონითი კატეგორიები :

30კგ - 34კგ - 38კგ - 42კგ - 46კგ - 50კგ - 55კგ - 60 კგ -66 კგ -73 კგ + 73 კგ

29 მაისი: 30კგ - 34კგ - 38 კგ -42 კგ - 46 კგ

30 მაისი: 50 კგ - 55კგ - 60კგ - 66კგ - 73კგ + 73 კგ.



მონაწილეთა აწონვა - 28 მაისი 17 სთ - დან 19 სთ - მდე

30კვ - 34კვ - 38კვ -42 კვ - 46 კვ

29 მაისი 17 სთ - დან 19 სთ - მდე

50კვ - 55კვ -60 კვ - 66 კვ- 73 კვ +73 კვ

### მიღების პირობები

---

მიმავლინებელი ორგანიზაცია გაიღებს მგზავრობის, კვების და სასტუმროს საფასურს.

შეჯიბრებაზე მონაწილე სპორტსმენები სურათიანი საბუთის და დაბადების მოწმობის ასლის გარეშე არ დაიშვებიან.

### შეჯიბრების ჩატარების ხელმძღვანელობა

---

შეჯიბრების ჩატარებას ხელმძღვანელობს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სპორტული გაერთიანება და მის მიერ დამტკიცებული მსაჯთა კოლეგია.

შეჯიბრებას მოემსახურება საქართველოს ძიუდოს ფედერაციიდან მოწვეული მსაჯები და ვიდეო გადაღება.

### შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

---

შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს გაიღებს საგარეჯოს ა(ა)იპ სპორტული გაერთიანება.

### და ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

---

წონით კატეგორიებში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გადაეცემათ შესაბამისი დიპლომები, თასები და მედლები, ხოლო მსაჯებზე გაიცემა მსაჯობისათვის ანაზღაურება.

შენიშვნა: აღნიშნული დებულება ითვლება შეჯიბრებაზე ოფიციალურ გამოძახებად.  
შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველი გუნდებისათვის  
საკონტაქტო ტელეფონები: 599 37 97 09; 599 85 11 26  
ელექტრონული მისამართი: [sagarejosporti@yahoo.com](mailto:sagarejosporti@yahoo.com)